10x

თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ

თქვენ ამ თანხმობაზე ხელმოწერით გამოხატავთ მზაობას მასზედ, რომ შპს - „თენექსი" (შემდგომში- „კომპანია") დაამუშავებს თქვენ პერსონალურ მონაცემებს კომპანიის საქმიანობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, კომპეტენციის ფარგლებში ამ თანხმობაში ასახული პირობებით. რაც გულისხმობს შემდეგს:

- კომპანია თქვენს მიერ მითითებულ სატელეფონო ნომერზე/ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარის და/ან ვიდეო/აუდიო/გამოსახულებითი შეტყობინებით, ასევე სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით (ელ-ფოსტა, ონლაინ პლატფორმა, ვებგვერდი, ან სხვა) შემოგთავაზებთ თქვენზე მორგებულ პერსონალიზებულ პროდუქტებს/სერვისებს და მოგაწვდით ინფორმაციას მისი, ან/და მისი და მისი პარტნიორი კომპანიების ერთობლივი პროდუქტების, მომსახურებების, ფასდაკლებების, აქციების, გათამაშებების, პრიზების და სხვა სიახლეების შესახებ;
- კომპანია ზემოაღნიშნული მიზნით დაამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის თქვენს საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, თქვენს მიერ კომპანიისთვის გადაცემულ, მომსახურების გაწევის შედეგად კომპანიასათვის ხელმისაწვდომ, ან/და ამგვარი ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებულ მონაცემებს;
- ამ თანხმობასა და გაფრთხილებაზე ხელის მოწერით, გამოხატავთ მზაობას, რომ კომპანიაში განხორციელდება აუდიო - ვიდეო ჩაწერა შენობის უსაფრთხოებისა და დაწესებულებაში არსებული სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, აცხადებთ თანხმობას, რომ მოხდეს აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, მათ შორის თქვენი ფოტოების სოციალურ ვებ-გვერდზე განთავსება. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ განთავსდეს თქვენი სურათები სოციალურ ქსელში, დააფიქსირეთ წერილობით კომპანიის ადმინისტრაციაში. აღნიშნულ შემთხვევაში, კომპანია არ განათავსებს თქვენს ფოტოებს.
- გარდა მარკეტინგული შემოთავაზებებისა, კომპანია საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, საგანმანათლებლო მიზნებისთვის ამუშავებს თქვენს პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის პორტფოლიოს, პირადი საქმის ფორმირებისთვის.

გაცნობებთ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას აქვს კანონიერი მიზანი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, გაცნობებთ, რომ კომპანია ვერ მოგაწვდით თქვენთვის სასურველ მომსახურებას.

თქვენ გაქვთ უფლება, აღნიშნული თანხმობა გაიხმოთ ნებისმიერ დროს კონფიდენციალურობის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის განაცხადით განსაზღვრული მარკეტინგულ შეტყობინებაში მითითებული ფორმით, ასევე კომპანიის ცხელ ხაზზე +995 592 72 00 07 დარეკვით ან sms off-ის ფუნქციით, კომპანიას ელ-ფოსტაზე (info@10x.edu.ge) შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნით, ან კომპანიის ადმინისტრაციისათვის წერილობითი მიმართვით თანხმობის გაუქმების თაობაზე.

პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემების კატეგორიებთან, დამუშავების საფუძვლებთან, მიზნებთან, ვადებთან, მონაცემთა უსაფრთხოებასთან და უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია კომპანიას

პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ დებულებაში, რომელიც განთავსებულია კომპანიას ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.10x.edu.ge, ასევე ხელმისაწვდომია კომპანიის ადმინისტრაციაში.